წმინდა ინგლისური მკვლელობა

სირიდ ჰეირი

2015-01-22

სირიდ ჰეირი

თბილისი, 2010

«მსოფლიო დეტექტივების სეიფი»

საქმე #15

მთარგმნელი: ნოდარ ძოწენიძე
რედაქტორი: მანანა ღოღობერიძე
სტილისტ-კორექტორები: ლიკა თავართქილაძე, ხათუნა ჩიმაკაძე
გარეკანის დიზაინი: ეთო გზირიშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: თემურ სიხარულიძე

© გამომცემლობა პალიტრა L, 2010
მის.: იოსებიძის ქ. #49

I. მსახურთუხუცესი და პროფესორი

უორბეკ-ჰოლი ყველაზე ძველ საცხოვრებელ შენობად ითვლება მარკშირში. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფრთაში მოთავსებული საგვარეულო არქივის სათავსი, აღბათ, ამ შენობის უძველესი ნაწილია. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად ყველაზე ცივი და გაყინულია. დოქტორი ვენცესლავ ბოტვინკი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი, ოქსფორდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პრაღის უნივერსიტეტის უახლესი ისტორიის შტატგარეშე პროფესორი, ლაიდენიდან ჩიკაგომდე არსებული უამრავი სამეცნიერო საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი, გახუნებული ხელნაწერების უზარმაზარ გროვასთან იჯდა. ხელნაწერებზე დახრილი, დროდადრო წყვეტდა კითხვას, რათა კუთხოვანი უცხოური ხელით ამოეწერა რამდენიმე სტრიქონი და გრძნობდა, თანდათან როგორ უჯდებოდა ძვალ-რბილში სიცივე. მაგრამ იგი მიჩვეული იყო სიცივეს. ციოდა მის სტუდენტურ სავანეში, ჰაიდელბერგში. კიდევ უფრო მეტად ციოდა 1917 წლის ზამთარში პრაღაში, ხოლო ყველაზე საშინელი სიცივე «მესამე რაიხის» საკონცენტრაციო ბანაკში იგემა. პროფესორი გრძნობდა, რომ ითოშებოდა, მაგრამ სანამ გაყინული თითებით საწერ-კალმის დაკავება შეეძლო, მუშაობას აგრძელებდა. მისთვის სიცივე მხოლოდ და მხოლოდ სამუშაო პროცესის დროს არსებული მომქანცველი გარემო გახლდათ. ხოლო რაც მართლა უშლიდა ხელს და კიდეც აღიზიანებდა, ეს იყო მესამე ვიკონტ უორბეკის ბატიფეხური ხელწერა, რომლითაც გეორგ მესამის მეფობის პირველი სამი წლის განმავლობაში ლორდ ბიუტის მიერ მისდამი მიწერილი ინტიმური წერილები აეჭრელებია. ოჰ, ეს მარგინალიები![1] ეს დაჯღვარკნილი, დაუმთავრებელი ჩანამატები სტრიქონებს შორის დოქტორ ბოტვინკს მეთვრამეტე საუკუნის ამ არისტოკრატის მიმართ პირად ანტიპათიას უღვივებდა. ადამიანს, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანი ცნობების ადრესატი იყო და, მომავალ თაობათათვის უსაზღვროდ ძვირფასი სახელმწიფო საიდუმლოების მცოდნეც, უნდა ჰქონოდა პასუხისმგებლობის გრძნობა შთამომავლობის წინაშე, რათა ეს ყველაფერი ხელშეუხებლად შეენახა. მან კი უძვირფასესი ცნობების გაურკვეველი ნაჯღაბნით გადმოცემა ამჯობინა — აი, რა იყო აუტანელი! მხოლოდ და მხოლოდ მესამე ვიკონტ უორბეკის ბრალი გახლდათ, რომ უორბეკების საბუთების კვლევას ორჯერ მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე მას ეგონა. ხოლო ხანში შესული მეცნიერისთვის, რომლის ჯანმრთელობა წინანდებური აღარ იყო, დრო ძალიან ძვირად ფასობდა! ვიკონტის სინდისზე დარჩება ის ამბავი, თუკი სამუშაო, რომელსაც უნდა ეჩვენებინა, რა ევოლუცია განიცადა 1750-1784 წლებში ინგლისის კონსტიტუციამ, წამომწყების სიკვდილის გამო ვერ დასრულდებოდა. უძლური ბრაზით შეპყრობილი დოქტორი ბოტვინკი იდუმალებით მოცულ ნაჯღაბნს ჩასცქეროდა, ყრუდ აგინებდა ვიკონტ უორბეკს და

წყევლიდა მის ცუდად წათლილ ბატის ფრთის კალამს.

კარზე მოკრძალებული კაკუნი გაისმა და ისე, რომ პასუხს არ დალოდებია, შემოვიდა მსახური. ეს იყო ჩასკვნილი, ხანში შესული კაცი, ცივი და ფლეგმატური სახითა და მსახურთუფროსისთვის დამახასიათებელი მზადყოფნის გამომეტყველებით.

— ჩაი მოგიტანეთ, სერ. — თქვა მან და ლანგარი მრგვალ მაგიდაზე დადო.

— გმადლობ, ბრიგს, — უპასუხა დოქტორმა ბოტვინკმა. — დიდი სიკეთეა თქვენი მხრიდან, მაგრამ შეწუხებად არ ღირდა.

— ეს რა შეწუხებაა, სერ. თვითონაც ამ დროს ვსვამ ჩაის, ბუფეტიდან აქ გამოსვლა ხომ სათვალავში ჩასაგდებიც არ არის, სულ მცირე მანძილია.

დოქტორმა ბოტვინკმა თავი სერიოზულად დააქნია. ის საკმაოდ კარგად იცნობდა ინგლისურ ჩვეულებს და იცოდა, რომ ჩვენს დროშიც კი, მსახურთუფროსი სტუმრისთვის ჩაის მირთმევისას არავითარ საფუძველს არ ეძებს.

— და მაინც, ეს დიდი თავაზიანობაა თქვენი მხრიდან, ბრიგს, — დაჟინებით განაგრძობდა ის, თან გულდასმით არჩევდა ინგლისურ გამოთქმებს, — მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ახლო მეზობლები ვართ. ჩვენ შორის რომ ვთქვათ, მხოლოდ მე და თქვენ ვართ უორბეკ-ჰოლის ამ უძველესი ნაწილის მცხოვრებლები, ასე არ არის?

— ასეა სწორედ. სახლის ეს ნაწილი მართლაც თვით პერკინ უორბეკის მიერაა აგებული ათას...

— ო, არა, ბრიგს! — დოქტორმა ბოტვინკმა ჩაის დასხმაც კი შეწყვიტა, მსახურისთვის რომ შეესწორებინა, — ასეთი რამ დამთვალიერებლებსა და ტურისტებს უამბეთ, მე კი არა. პერკინ უორბეკი — ეს ხომ მითია, ისტორიული მითი კი არა მაქვს მხედველობაში, არამედ ლორდ უორბეკის საგვარეულოს ირგვლივ შეთხზული. მათ შორის არავითარი კავშირი არაა. უორბეკთა საგვარეულოს ეს შტო სრულიად სხვა წარმოშობისაა, და გაცილებით მაღალიც, შემიძლია დაგარწმუნოთ. ყველაფერი ეს აღნიშნულია აი აქ, ამ დოკუმენტებში. — და თავი კედლთან მდგარი მუხის კარადისკენ გაიქნია.

— ეს კი აგრეა, სერ, — მიუგო ბრიგსმა თავაზიანად, — მაგრამ ჩვენთან, მარკშირში, ამის თაობაზე სხვანაირად ლაპარაკობენ.

დოქტორ ბოტვინკს უნდოდა შეპასუხებოდა, მაგრამ თავი შეიკავა. ოღონდ თავისთვის ჩუმად ჩაიღაპარაკა: «მაგრამ ჩვენთან, მარკშირში, ამის თაობაზე სხვანაირად ლაპარაკობენ», — და ჩაი მოსვა. ხმამაღლა კი ესღა თქვა:

— გემრიელი ჩაი გქონიათ, ბრიგს. ძვლებს ათბობს. — და საკმაო მედიდურობით შეხედა მსახურს, უნდოდა შეეტყო, ამ უკანასკნელმა სათანადოდ შეაფასა თუ არა მისი ინგლისური.

ბრიგსმა იქედნურად გაიღიმა.

— ზუსტად ასეა, სერ, — უთხრა მან. — ძალიან ცივა. ეტყობა, მოთოვს. ამინდის პროგნოზის მიხედვით, თეთრ შობას უნდა მოველოდეთ.

— შობას! — დოქტორმა ბოტვინკმა ფინჯანი მაგიდაზე დადგა. — ნუთუ წელიწადი დასასრულს უახლოვდება? ამდაგვარ ადგილზე დღეების სათვალავსაც დაკარგავს კაცი.

მართლა ახლოვდება შობა?

— ზეგაა, სერ.

— მე კი თავიდან ამომვარდა! ამ საქმეს გაცილებით დიდხანს მოვუნდი, ვიდრე მეგონა. ძაღზე ბოროტად ვსარგებლობ ლორდ უორბეკის სტუმართმოყვარეობით. შეიძლება, ასეთ დროს ჩემი აქ ყოფნა მისთვის უხერხულიც შეიქნეს? უნდა შევეკითხო მას.

— ახლახან, როცა ჩაი შევუტანე, თავს ნება მივეცი, სერ, ეს შეკითხვა მისი ბრწყინვაღებისთვის დამესვა და მან გამოთქვა აზრი, რომ თუკი ისურვებთ, შეგიძლიათ მისი სტუმარი იყოთ დღესასწაულის დღეებშიც.

— დიდი თავაზიანობაა მისი მხრიდან. უეჭველად პირადად მოვახსენებ მადლობას, თუკი შეუძლია ჩემი მიღება. სიტყვამ მოიტანა და, როგორ გრძნობს თავს დღეს?

— გმადლობ, მისი ბრწყინვაღება უკეთაა, იგი უკვე ფეხზეა, მაგრამ ჯერ არ ჩამოდის.

— ფეხზეა, მაგრამ არ ჩამოდის — გაიმეორა დოქტორმა ბოტვინკმა ჩაფიქრებით. — ფეხზეა, მაგრამ არ ჩამოდის! ინგლისური ენა უჩვეულოდ მეტყველია!

— სწორედ რომ ასეა, სერ.

— ჰო, მართლა, ბრიგს, ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ დღესასწაულებზე. ვფიქრობ, ამჟამინდელ გარემოებაში დღესასწაულს, აღბათ, წმინდა ნომინაღური ხასიათი ექნება.

— როგორ ბრძანეთ, სერ?

— ვფიქრობ, სინამდვილეში არავითარი დღესასწაული არ იქნება, არავითარი, — მან საჭირო სიტყვა ვერ იპოვა და მოუთმენლად აატკაცუნა თითები, — არავითარი დიდი ქეიფი.

— ზუსტად ვერ გეტყვით, სერ, როგორ ჩაატარებენ დღესასწაულს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ შობა წყნარად ჩაივლის. მისმა ბრწყინვაღებამ ნათესავთაგან მხოლოდ ცოტანი მოიწვია.

— ო! ესე იგი, იქნებიან სტუმრები? მაინც ვინ?

— დღეს საღამოს ჩამოდის სერ ჯუდიუსი, ხოლო ხვაღ...

— სერ ჯუდიუსი?

— სერ ჯუდიუს უორბეკი, სერ.

— კი მაგრამ, ის ხომ ფინანსთა მინისტრია ამჟამინდელ მთავრობაში?

— სავსებით მართალი ბრძანდებით, სერ.

— მე კი, ლორდ უორბეკთან ჩემი საუბრიდან გამომდინარე, ვფიქრობდი, რომ მას სრულიად სხვაგვარი პოლიტიკური შეხედულებები აქვს.

— პოლიტიკური, სერ? სერ ჯუდიუსი ჩამოდის აქ, როგორც მე მესმის, მხოლოდ როგორც ლორდ უორბეკის ძმა.

დოქტორმა ბოტვინკმა ამოიოხრა.